GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 236
თარიღი: 14 08 2014 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

11/08/2014

MES 1 14 00573958

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს
მის: თბილისი, რაზმაძის ქ. 15
ტელ: (+995 32) 222 29 43

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 4 აგვისტოს N489 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №563017, 05.08.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე da მე-40 მუხლების შესაბამისად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2014 წელს ხელახლა გამოცხადებულ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის ტესტირების ნაწილში მონაწილეობა მიიღო დირექტორობის 1738 მსურველმა. აქედან, ტესტირება გადალახა 584 კანდიდატმა. რაც შეეხება სერტიფიცირების ეტაპის გასაუბრების ნაწილს - ჯერჯერობით შედეგები ცნობილი არ არის.

2013 წლის მონაცემებით სერტიფიცირების ეტაპი წარმატებით გადალახა 981 კანდიდატმა, იქიდან გამომდინარე, რომ 2014 წლის მონაცემები არ არის ცნობილი, ვერ მოხერხდება დაზუსტებული ინფორმაციის გაცემა იმის შესახებ, თუ რამდენმა კანდიდატმა გადალახა სერტიფიცირების ეტაპი ჯამში 2013 წლიდან დღემდე.

„საჯარო სკოლის დირქტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სერტიფიცირების ეტაპის დასრულების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს დირექტორობის უფლების მქონე იმ პირთა სიას, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს სერტიფიცირების ეტაპი და მოიპოვეს დირექტორობის უფლება, რაც ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. აღნიშნული სიის დამტკიცებიდან ხუთი დღის ვადაში სსიპ -

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუველყოფს სერტიფიკატების იმ რესურცენტრისთვის გადაცემას, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს ის საგამოცდო ცენტრი, სადაც დირექტორობის მსურველმა პირმა გაიარა ტესტირება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის შემდგომ ეტაპის - საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებისათვის დირექტორობის კანდიდატების ასარჩევად წარდგენის განხორციელებას უახლოეს მომავალში გეგმავს.

ასევე გაცნობებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიკატი საჯარო სკოლის დირექტორის ხელფასის ოდენობს არ განსაზღვრავს.

რაც შეეხება სკოლებში დირექტორობის მსურველთა გადანაწილებას, მათი გადანაწილება მოხდება „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის №25/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი

ირ.